ხელშეკრულება № 60-7-116-66

ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების შესახებ

ქ. თბილისი 12 თებერვალი 2016წ.

წინამდებარე ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების შესახებ (შემდგომში "ხელშეკრულება") დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

(1). ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შპს "ეროვნული რეესტრი" (ლიცენზიის #058) (შემდგომში "რეგისტრატორი"), მისი დირექტორის ბ-ნ მერაბი აბრამიშვილის (პირადი №01011015796) სახით, ერთის მხრივ, და

(2). სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" საიდენტიფიკაციო კოდი 204995176, (შემდგომში „ემიტენტი"), მისი დირექტორის ბატონ სულხან ზუმბურიძის (პირადი № 01017002641) სახით, მეორეს მხრივ

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "ემიტენტი" ავალებს, ხოლო "რეგისტრატორი" იღებს ვალდებულებას გაუწიოს „ემიტენტს" და მის მიერ გამოშვებული (შემდეგში - „ფასიანი ქაღალდების) ფასიანი ქაღალდების მფლობელებს რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურების კომპლექსი, რომელიც გულისხმობს შემდეგი მომსახურების გაწევას(CPV კოდი 79900000).

1.1.1. „ემიტენტის" ფასიანი ქაღალდების რეესტრის კონსოლიდირება;

1.1.2. პირველადი განთავსების დროს „ემიტენტის" ფასიანი ქარალდების მფლობელთათვის პიროვნული ანგარიშების გახსნა, რის შემდეგაც ისინი გახდებიან ანგარიშის მფლობელები და მათ ანგარიშებზე შესაბამისი რაოდენობის ფასიანიქაღალდების გადაცემა.

1.1.3. „ემიტენტის" უფლებამოსილი მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის მიწოდება ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და მათი მფლობელების რეკვიზიტების, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების განთავსებისა და მიმოქცევის შესახებ;

1.1.4. „ემიტენტის" შეკვეთით ფასიანი ქაღალდების მფლობელებზე დივიდენდების დარიცხვა;

1.1.5. „ემიტენტის" შეკვეთით მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის საინფორმაციო მასალების დაგზავნა;

1.1.6. „ემიტენტის" შეკვეთით მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელთა (აქციონერების /ანგარიშთა მფლობელების) საერთო კრების მოწვევის, ჩატარების, დღის წესრიგის საკითხებზე ხმის მიცემის ორგანიზაცია;

1.1.7. ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმება და გაცემა;

1.1.8. ფასიანი ქაღალდების მეორადი ბრუნვის დროს რეესტრში ახალ მფლობელთა შესახებ შესაბამისი ჩანაწერების შექმნა და მათ ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდებისგაცემა;

1.1.9. „ემიტენტის" ფასიანი ქაღალდების მფლობელებისათვის მათი კუთვნილი ფასიანი ქაღალდებისა და მათთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ ამონაწერის გაცემა.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებები სრულდება კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში.

2.2. მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად რეგისტრატორი ხელმძღვანელობს მოქმედ კანონმდებლობას და მის საფუძველზე შემუშავებულ წესებსა და დოკუმენტებს.

2.3. რეგისტრატორი ვალდებულია:

2.3.1. გაუწიოს ემიტენტს პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება, დოკუმენტების სრულად მიწოდებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

2.3.2. გაუწიოს მომსახურება ემიტენტს ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოებაზე საქართველოში მოქმედი ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

2.3.3. უზრუნველყოს რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის აღრიცხვიანობა და გაფორმების სისწორე.

2.3.4. უზრუნველყოს რეესტრში არსებული ინფორმაციის დაცვა და მონაცემთა ბაზის რეგულარული ტესტირება, არქივაცია და კოპირება.

2.3.5. მოახდინოს ფასიანი ქაღალდების ემისიის პირველადი განთავსების დარეგისტრირება.

2.3.6. მოახდინოს ემიტენტის ფასიან ქაღალდებზე და მათ მფლობელთა პიროვნულ ანგარიშებზე ოპერაციების რეგისტრაცია საწყისი მონაცემების შესახებ ინფორმაციის შენარჩუნებით. მათ შორის: საკუთრების უფლების ცვლილება ან/და ახალი რეგისტრაცია; ემიტენტის მიერ განხორციელებული გლობალური ოპერაციები; ემიტენტის ნებადართული, გამოშვებული, განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობის ან ნომინალური ღირებულების ცვლილების რეგისტრაცია; რეორგანიზაცია; კანონმდებლობით გათვალისწინებული ემიტენტის ან რეგისტრირებული პირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე რეესტრში რეგისტრირებული პირის იდენტიფიკაციის პროცედურები და სხვა.

2.3.7. უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელთათვის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმება.

2.3.8. მოახდინოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელებისათვის მათი კუთვნილი ფასიანი ქაღალდებისა და მათთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ ამონაწერის გაცემა.

2.3.9. ემიტენტის უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და მათი მფლობელების რეკვიზიტების, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების განთავსების, მიმოქცევის და რეესტრში განხორციელებული ოპერაციების შესახებ.

2.3.10. ემიტენტის მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინოს მას ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სია ან/და ხმის უფლების მქონე აქციონერთა სია შესაბამისი სააღრიცხვო თარიღებისათვის.

2.3.11. ემიტენტის მოთხოვნის საფუძველზე მოახდინოს ფასიანი ქაღალდების მფლობელებზე დივიდენდების გაანგარიშება, განაწილება, დაკავებული გადასახადების გამოთვლა.

2.3.12. უზრუნველყოს რეესტრში არსებული ყველა ინფორმაციის შენახვა 10 (ათი) წლის განმავლობაში.

2.3.13. გაუწიოს ემიტენტს და/ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელებს აქციათა რეესტრთან დაკავშირებული მომსახურება.

2.3.14. ტარიფების ცვლილება განახორციელოს „ემიტენტთან" შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების დანართი 1-ში ცვლილებების შეტანის გზით.

2.4. ემიტენტი ვალდებულია:

2.4.1. მიაწოდოს რეგისტრატორს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში ფასიანი ქაღალდების რეესტრის ფორმირებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

2.4.2. დაუყოვნებლივ შეატყობინოს რეგისტრატორს ემიტენტის რეკვიზიტებში, სადამფუძნებლო

დოკუმენტებში და აგრეთვე მმართველი ორგანოს წევრების შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. ამგვარი ინფორმაციის დროულად მიწოდებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ემიტენტს.

2.4.3. დროულად აანაზღაუროს რეგისტრატორის მომსახურება შეთანხმებული

ტარიფის შესაბამისად. 2.4.4. აცნობოს ფასიანი ქაღალდების მფლობელებს

წინამდებარე ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2.5. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებით ემიტენტი ადასტურებს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობებში არ იმყოფება სხვა რეგისტრატორთან.

2.6 მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 12(თორმეტი) თვის

განმავლობაში

3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. ემიტენტი პასუხისმგებელია მის მიერ რეგისტრატორისთვის გადაცემული საბუთების სიზუსტესა და სისრულეზე.

3.2. რეგისტრატორი პასუხისმგებელია ემიტენტისა და მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელების წინაშე წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია ემიტენტის მიერ რეგისტრატორისათვის არასწორი/არასრული ინფორმაციის მიწოდებით, ან ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდებით. ასეთ შემთხვევაში მიყენებულ ზარალზე და დამატებით დანახარჯებზე პასუხისმგებელობა ეკისრება ემიტენტს.

3.3. რეგისტრატორი პასუხს არ აგებს ემიტენტის რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებულ იმ ზარალზე, რომელიც წარმოიქმნა წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე.

3.4. რეგისტრატორი პასუხს არ აგებს იმ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია ემიტენტის მიერ რეგისტრატორისათვის არასწორი/არასრული ინფორმაციის მიწოდებით.

3.5. რეგისტრატორი პასუხს არ აგებს ემიტენტის დავალებით შესრულებული მომსახურების საფინანსო და საგადასახადო შედეგებზე.

4. ტარიფები და ანგარიშსწორება

4.1. რეგისტრატორის მომსახურების გადასახადი მოიცავს სააბონენტო გადასახადს და სხვა მომსახურების გადასახადებს, რომელიც მოცემულია დანართ №1-ის სახით თანდართულ სატარიფო განაკვეთებში. სააბონენტო გადასახადი მოიცავს: რეესტრის ფორმირებას ელექტრონულ ფორმატში; ყველა შემოსული დოკუმენტების აღრიცხვას, რომელთა საფუძველზეც ხდება რეესტრში ცვლილებების შეტანა; რეესტრის წარმოებას ისტორიული ქრონოლოგიის დაცვით; არქივის წარმოებას; მონაცემთა ბაზების რეგულარულ ტესტირებას, არქივაციას, კოპირებას და დაცვას; მონაცემთა ბაზის სისწორისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

4.2. რეგისტრატორი უფლებამოსილია, რეგისტრირებულ პირთან შეთანხმების საფუძველზე მოემსახუროს რეგისტრირებულ პირს განსხვავებული ტარიფებით.

4.3. წინამდებარე ხელშეკრულების ტარიფებით(დანართ №1-ის) გათვალისწინებულ ყველა სხვა მომსახურებაზე „ემიტენტი“ ანგარიშსწორებას განახორციელებს ეტაპობრივად ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სათანადო დოკუმენტის წარმოდგენიდან (ინვოისი, ანგარიშფაქტურა) 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

4.4. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ეტაპობრივად ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4.5. შესაბამისი თანხების გადახდა ხორციელდება საბანკო გადარიცხვით რეგისტრატორის ქვემოთ მითითებულ საბანკო ანგარიშზე: სს "რესპუბლიკა" ა/ა GE62BR0000000004467123 GEL, ბანკის კოდი REPLGE22, საიდენტიფიკაციო კოდი 204409906, ან ნაღდი ანგარიშსწორებით.

4.6. სააბონენტო ტარიფით სააბონენტო გადასახადის გადახდა წარმოებს ყოველკვარტალურად - ყოველი კვარტლის ბოლოს.
4.7 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 1990(ერთი ათას ცხრაასოთხმოცდაათი)ლარს დღგ-ს გარეშე.

5. *კონფიდენციალობა*

5.1. მხარეები ვალდებული არიან, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
5.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას:
5.2.1. რომელიც კანონმდებლობის დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები მხარისათვის მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;
5.2.2. თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება მხარეთა მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);
5.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;
5.2.4. თუ ინფორმაციის მესამე პირისთვის გამჟღავნება მოხდება: ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რა შემთხვევაშიც ინფორმაციის გამცემი მხარე სრულად აგებს პასუხს მესამე პირის მიერ მისთვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე ან ბ) რომელიმე მხარისგან დამოუკიდებლად.

5.2. რეგისტრატორი უფლებამოსილია ემიტენტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირს ემიტენტის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად რეგისტრატორის უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და ემიტენტის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.

6. *შეტყობინება*

6.1. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის ან რეგისტრატორის მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.
6.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:
6.2.1 კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების ან დეპეშის გაგზავნის შემთხვევაში – (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია რეგისტრატორის მიერ,

გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი); (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია ემიტენტის მიერ, რეგისტრატორის კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო სამუშაო დღეს;

6.2.2 ფაქსის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში – (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია რეგისტრატორის მიერ, გაგზავნის თარიღიდან მეორე სამუშაო დღეს; (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია ემიტენტის მიერ, რეგისტრატორის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან, ან შესაბამისი ქმედების განხორციელებით შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან.

6.2.3 შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

6.3 მხარეები ურთიერთობას განახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართებზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით). მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეებს შორის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

7.2. თუ ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ აცნობებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, იგი ავტომატურად გაგრძელდება იმავე ვად(ებ)ით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდება:

8.1.1 ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე 30 დღით ადრე ნებისმიერი მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარისათვის მიწოდებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

8.1.2. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

8.1.3. რეგისტრატორის საქმიანობაზე ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში;

8.1.4. ნებისმიერი მხარის შეტყობინების შემთხვევაში იმის შესახებ, რომ მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და თუ არ მოხდება ამგვარი დარღვევის აღმოფხვრა შეტყობინებიდან ერთი თვის ვადაში;

8.1.5. ემიტენტის ლიკვიდაციისას;

8.1.6. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ემიტენტის მოთხოვნით რეგისტრატორი გადასცემს, ხოლო ემიტენტი, ან სხვა დამოუკიდებელი რეგისტრატორი იბარებს ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რეესტრს. რეესტრისა და სხვა სახის ჩანაწერების/დოკუმენტების გადაცემა ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

8.3. ფასიანი ქაღალდების რეესტრის და სხვა მოთხოვნილი დოკუმენტების ემიტენტისთვის გადაცემამდე ემიტენტი ასრულებს ყველა სახის სახელშეკრულებო ვალდებულებას

რეგისტრატორის მიმართ მიმდინარე გადასახადების და დავალიანების (თუ ამგვარი არსებობს) გადახდის ჩათვლით.

8.4. ემიტენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, რეგისტრატორი უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება, ემიტენტისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ხელშეკრულების შეჩერების პირობები. ამასთან, ემიტენტის მიერ ხელშეკრულების დარღვევის სრულად აღმოფხვრამდე, რეგისტრატორი უფლებამოსილია არ განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება, რაზეც რეგისტრატორი არ აგებს პასუხს ემიტენტის წინაშე.

9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ამ ხელშეკრულებასთან ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით.

9.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებასთან ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული დავის ან უთანხმოების გადაწყვეტა ვერ ხერხდება მხარეებს შორის ამგვარი დავის ან უთანხმოების წარმოშობიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, მხარეები მიმართავენ შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში დავის გადაწყვეტა შესაძლებელია მხარეთა შორის შეთანხმებულ არბიტრაჟშიც.

10. ზოგადი დებულებები

10.1. რომელიმე მხარის მხრიდან ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას მეორე (არადამრღვევი) მხარის უფლებაზე ხელშეკრულების შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით.

10.2. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება რეგისტრატორს ემიტენტის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად კრებითია და დაემატება ამ ხელშეკრულებით ან კანონით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება მხარეთა შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე. მხარეთა წერილობითი შეთანხმების გარეშე არცერთ მხარეს არ აქვს უფლება სხვას გადასცეს ან გადააბაროს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება, ან მინიჭებული უფლება.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება გაკეთდეს წერილობით და ხელი მოეწეროს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

10.5. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ ხელშეკრულებით (და მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

10.6. წინამდებარე ხელშეკრულების დანართი წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

10.7. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებსა და სხვა ხელშეკრულებებს (მათ შორის, სატარიფო განაკვეთების ცვლილებას) მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის დადებული ამგვარი შეთანხმება, თუ სხვა ხელშეკრულება.

10.8. ფორს-მაჟორული გარემოების წარმოშობის შემთხვევაში, ამგვარი ფორს-მაჟორული

გარემოების მოქმედების პერიოდში მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან. ფორს-მაჟორულ გარემოებად ითვლება ომი, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, საკანონმდებლო აქტების ცვლილება და სხვა შემთხვევები, რომელთა დადგომა და/ან მოქმედება არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს, და აფერხებს ან შეუძლებელს ხდის ორივე ან რომელიმე მხარის მიერ ვალდებულებების შესრულებას. მხარე რომელიც ვერ ასრულებს ნაკისრ მოვალეობებს ფორს-მაჟორული გარემოების გამო, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოების წარმოშობისა და აღმოფხვრის თაობაზე.

10.9. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ხელმოწერის შემდეგ გადაეცათ მხარეებს.

10.10 წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1–ლი პუნქტის ს[1]) ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 ივნისის №1181 განკარგულების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1 „ემიტენტს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „რეგისტრატორის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

11.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „ემიტენტის“ მხრიდან უზრუნველყოფს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ლევან ქევხიშვილი და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი თამარ აბრალავა.

მხარეთა რეკვიზიტები:

რ ე გ ი ს ტ რ ა ტ ო რ ი:	**ე მ ი ტ ე ნ ტ ი:**
შპს "ეროვნული რეესტრი" მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 41; ტელ. 2-311173, 2-311174; 2-311175; 599-53-53-37, ფაქსი: (995 32) 311175; სს "რესპუბლიკა" ანგარიშის N GE62BR0000000004467123 GEL კოდი:REPLGE22 ელ. ფოსტა: nregister@access.sanet.ge საიდენტიფიკაციო კოდი: 204409906	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, ბარათაშვილის ქ. No 2 ელ. ფოსტა: levan.khevxishvili@gse.com.ge
მერაბ აბრამიშვილი **დირექტორი** რეგისტრატორი	**სულხან ზუმბურიძე** **რეაბილიტაციის მმართველი** ემიტენტი

დანართი #1

მომსახურების ტარიფები ემიტენტისთვის

	მომსახურების დასახელება	განზომილებ ა ერთეული	აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში		მომსახურების (მაქსიმალური) ვადები
			არასალისტინგო ფასიანი ქაღალდებისათვის	სალისტინგო ფასიანი ქაღალდების ათვის	
1	ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება (სააბონენტო)	50-მდე აქციონერი	7	7	
		50-100 მდე აქციონერი	10	10	
		100-200 მდე აქციონერი	15	15	
		200-300 მდე აქციონერი	20	20	
		300-400 მდე აქციონერი	25	25	
		400-500 მდე აქციონერი	30	30	
		500-600 მდე აქციონერი	40	40	
		600-ზე მეტი აქციონერი	40+5 ყოველ 100 აქციონერზე	40+5 ყოველ 100 აქციონერზე	
2	ფასიანი ქაღალდების რეესტრის ფორმირება პირველადი დოკუმენტების საფუძველზე	უფასო	-	უფასო	2 თვე
3	რეესტრში განხორციელებული ოპერაციების შესახებ ოქმისა და ამონაწერების მომზადება ემიტენტების მოთხოვნით	1 გვერდი	0,3	0,3 - არაუმეტეს 3 ლარი	3 დღე
4	ფასიანიქაღალდების მფლობელთა სიის მომზადება ემიტენტის მოთხოვნით	1 გვერდი	0,3	0,3 - არაუმეტეს 3 ლარი	3 დღე
5	გლობალური ოპერაციები (აქციების დანაწევრება, კონსოლიდაცია, კონვერტაცია, რეორგანიზაცია და სხვ. მათ შორის საზოგადოების რეგისტრაცია და ცვლილებების შედეგად აქციათა რაოდენობის განსაზღვრა)	1 აქციონერზე	0,02	0,2 ჯამურად არაუმეტეს 400 ლარი	15 დღე

6	ფასიანი ქაღალდების ემისიის ასახვა რეესტრში და რეგისტრირებულ აქციონერზე გადაცემა	გადაცემული ფასიანი ქღალდების ღირებულება	0,1 % ყოველ გადაცემაზე, მაგრამ არანაკლებ 0,6 ლარი და არაუმეტეს 400 ლარი	1 აქციაზე 0.001 $ მაგრამ არანაკლებ 0,3 $ და არაუმეტეს 400 ლარი	100 გადაცემამდე 4 დღე 100 გადაცემაზე ზევით- შეთანხმებით
7	ემიტენტის ბარათში (რეკვიზიტები, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორები და სხვ.) შეტყობინების საფუძველზე ცვლილებების შეტანა	უფასო	უფასო	უფასო	1 დღე
8	აქციონერთათვის შეტყობინების მომზადება საერთო კრების შესახებ	შეთანხმებით	შეთანხმებით	შეთანხმებით	შეთანხმებით
9	ემიტენტის დავალებით საწარმოს აქციათა 1 %-ზე მეტი წილის მფლობელ აქციონერთათვის საერთო კრების მოწვევის შტყობინება ფოსტით, დაზღვეული წერილით	შეთანხმებით	შეთანხმებით	შეთანხმებით	შეთანხმებით
10	აქციონერთა სიის შედგენა სააღრიცხვო თარიღებისათვის და ემიტენტისთვის მიწოდება	1 გვერდი რიგგარეშე ამონაწერი	0,3	0,3 - არაუმეტეს 3 ლარი	3 დღე
11	ემიტენტის თხოვნით აქციონერთა სიის მომზადება და გადაცემა აქციების არანაკლებ 5%-ის მფლობელ აქციონერზე ან აქციონერთა ჯგუფისთვის	1 გვერდი	0,3	0,3 - არაუმეტეს 3 ლარი	3 დღე
12	აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნება კანონმდებლობით განსაზღვრულ ბეწვდით ორგანოში	შეთანხმებით	შეთანხმებით	შეთანხმებით	შეთანხმებით
13	ემიტენტის დავალებით მნიშვნელოვანი თარიღების კანონმდებლობით განსაზღვრულ ბეჭვდით ორგანოში გამოქვეყნება	შეთანხმებით	შეთანხმებით	შეთანხმებით	შეთანხმებით
14	აქციონერთა რეგისტრაცია საერთო კრებაზე	შეთანხმებით	შეთანხმებით	200 ლარი	
15	აქციონერთა ხმების დათვლა საერთო კრებაზე	შეთანხმებით	შეთანხმებით	საფოსტო ხარჯების გარეშე	
16	ემიტენტის მოთხოვნით დივიდენდების გამოანგარიშება და გასაცემი	დივიდენდის მოცულობა	0,10%	0,1 % - არაუმეტეს 400 ლარი	5 დღე

	თანხის გამოთვლა				
17	არქივიდან მონაცემების ამოღება (არ ეხება ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ემიტენტისათვის ან სხვა რეგისტრატორისათვის რეესტრისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტების გადაცემას)	1 გვერდი	1 მაგრამ არაუმეტეს 40 ლარი	1 მაგრამ არაუმეტეს 40 ლარი	10 დღე
18	სატენდერო შეთავაზების მომსახურება	შეთანხმებით	შეთანხმებით	შეთანხმებით	შეთანხმებით

მომსახურების ტარიფები
რეგისტრირებული პირისთვის

	მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული	აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში		მომსახურების ვადები
			არასალისტინგო ფასიანი ქაღალდებისათვის	სალისტინგო ფასიანი ქაღალდების ათვის	
1	აქციონერთა სიის მომზადება და გადაცემა აქციების არანაკლებ 5%-ის მფლობელ აქციონერზე ან აქციონერთა ჯგუფისათვის;	1 გვერდი	0,3	0,3 - არაუმეტეს 3 ლარი	3 დღე
2	ანგარიშის მფლობელთა პიროვნული ანგარიშიდან 1-ზე მეტი ამონაწერის გაცემა	1 გვერდი	0,25	0,25	3 დღე
3	ანგარიშის მფლობელთა ანგარიშზე ბრუნვის უწყისის მომზადება და გადაცემა;	1 გვერდი	0,25	0,25	3 დღე
4	რეგისტრირებული მესაკუთრეობიდან საბროკერო კომპანიის ნომინალურ მფლობელობაში ფასიანი ქაღალდების გადაცემა;	1-100 ცალამდე	0,15	0,15	3 დღე
		100-1000 ცალამდე	0,3	0,3	3 დღე
		1000-10000 ცალამდე	0,5	0,5	3 დღე
		10000 ცალზე მეტი	1	1	3 დღე

5	საბროკერო კომპანიის ნომინალური მფლობელობიდან იგივე რეგისტრირებულ მესაკუთრეზე, ფასიანი ქაღალდების დაბრუნება გადაცემული რაოდენობის ფარგლებში	უფასო	უფასო	უფასო	3 დღე
6	საბროკერო კომპანიის ნომინალური მფლობელობიდან სხვა რეგისტრირებულ მესაკუთრეზე, ან იგივე ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული რაოდენობის ზევით ფასიანი ქაღალდების გადაცემა სავაჭრო სისტემაში შემდგარი გარიგების შემთხვევაში	გარიგების ღირებულება	0,1 % მაგრამ არანაკლებ 0,3 ლარი	0,1 % მაგრამ არანაკლებ 0,3 ლარი და არაუმეტეს 200 ლარი	3 დღე
7	ანგარიშის მფლობელთა პიროვნულ ანგარიშზე/ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდების გადაცემის ბლოკირება	1 ც აქცია	0,0003 მაგრამ არანაკლებ 5 და არაუმეტეს 40	0,0003 მაგრამ არანაკლებ 5 და არაუმეტეს 40	3 დღე
8	ანგარიშის მფლობელთა პიროვნულ ანგარიშზე/ანგარიშებზეფასიანი ქაღალდების გადაცემის ბლოკირების მოხსნა;	1 ც აქცია	0,0003 მაგრამ არანაკლებ 5 და არაუმეტეს 40	0,0003 მაგრამ არანაკლებ 5 და არაუმეტეს 40	3 დღე
9	ფასიანი ქაღალდების რეესტრის ბლოკირება;	-	-	-	3 დღე
10	ფასიანი ქაღალდების რეესტრის ბლოკირების მოხსნა;	-	შეთანხმებით	შეთანხმებით	3 დღე
11	ანგარიშის მფლობელთა პიროვნული ანგარიშების ბლოკირება;	-	შეთანხმებით	შეთანხმებით	3 დღე
12	ანგარიშის მფლობელთა პიროვნული ანგარიშების ბლოკირების მოხსნა;	-	შეთანხმებით	შეთანხმებით	3 დღე
13	ფასიანი ქაღალდების საკუთრების უფლების ახალი რეგისტრაცია	გარიგების ღირებულება	0,2% მაგრამ არანაკლებ 1 ლარი და არაუმეტეს 4500 ლარი	1 აქციაზე 0,001 $ მაგრამ არანაკლებ 0,3 $ და არაუმეტეს 400 ლარი	3 დღე

		1 ცალი აქცია (თუ გარიგების ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი)	0,002 მაგრამ არანაკლებ 1 ლარი და არაუმეტეს 3000 ლარი		3 დღე
14	არქივიდან მონაცემების ამოღება (არ ეხება ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ემიტენტისათვის ან სხვა რეგისტრატორისათვის დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტების გადაცემას)	1 გვერდი	1 მაგრამ არაუმეტეს 40	1 მაგრამ არაუმეტეს 40	10 დღე
15	გარიგების საფონდო ბირჟაზე დაფიქსირება	გარიგების ღირებულება	0,1%	0,1%	1 დღე
16	სატენდერო შეთავაზების მომსახურება	შეთანხმებით	შეთანხმებით	შეთანხმებით	შეთანხმებით

მერაბ აბრამიშვილი

დირექტორი
რეგისტრატორი

სულხან ზუმბურიძე

რეგისტრაციის მმართველი
ემიტენტი